№1136 2015 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარით გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №84, სათავო ცენტრალური ოფისის სერვის ცენტრში, I სართულზე მდებარე 10.93 კვ.მ ფართი, საკადასტრო კოდი: №01.14.13.004.002), 1 (ერთი) წლის ვადით, წლიური სარგებლობის საფასურით 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, აუქციონის გარეშე, იჯარით გადასცეს სს „კორ სტანდარტ ბანკს“ (საიდენტიფიკაციო კოდი – 204546045), მასში ამავე ბანკის სერვის ცენტრის განთავსების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**